შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

# რეფლექსიური სწავლების მეთოდები სკოლებში ინგლისური ენის მასწავლებელთათვის პროფესიული განვითარებისთვის (თურქულისაერთაშორისო კერძო სკოლები)

თამარ შარაშენიძე-სოიუჩოქ

დისერტაციის ავტორეფერატი

განათლების მეცნიერებათა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 2015

ხელმძღვანელი:

პროფ. ეკატერინე ფიფია .....

<u>ექსპერტები:</u>

ასოც. პროფ. ნიკოლოზ ფარჯანაძე .....

ასოც. პროფ. მეჰმეთ შაჰინერ .....

<u>ოპონენტები:</u>

პროფ. ზაალ კიკვიძე .....

ასოც. პროფ. თამარ ჯოჯუა .....

## შესავალი

ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში სულ უფრო მეტი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი სწავლების პროცესში რეფლექსიის ცნებასთან დაკავშირებით. სწავლების პროცესისადმი რეფლექსიური მიდგომა წარმოადგენს გამოცდილების ისეთ სახეს, რაც მასწავლებელს აძლევს ერთი გამოცდილებიდან მეორეზე გადართვის, სიახლეების დანერგვის, სწავლების მეთოდების მოდიფიცირებისა და სწავლების პრაქტიკაში სამომავლო გაუმჯობესების შესაძლებლობას. რეფლექსიური პრაქტიკების მუდმივი განვითარება ნათლად აისახება ინგლისური ენის სწავლების პროცესზეც, რაც წარმოადგენს მოცემული ნაშრომის ძირითად საგანს.

რეფლექსიური სწავლება წარმოადგენს თანამედროვე და ფართოდ აღიარებულ მეთოდს რომელსაც იყენებს მრავალი მასწავლებელი საკუთარი შესაძლებლობებისა და თვით-შემეცნების ხარისხის ამაღლების მიზნით. როგორც რეფლექსიური სწავლების შემადგენელი კომპონენტი, "რეფლექსიური პრაქტიკა" მოიცავს მოქმედების ფაზას და მიზნად ისახავს თვით-რეფლექსიის მიღწევას. ტერმინი "რეფლექსიური პრაქტიკა" (*reflective practice*, (Schon,1987)) გულისხმობს ინდივიდთა გამოცდილებების გაგებასა და პროცესში მათზე რეაგირებას. მაკგრეგორისა და კართრაითის (2011) თანახმად, „რეფლექსია-მოქმედებაზე" (reflection-on-action, (McGregor & Cartwright, 2011)) „ალბათ ყველაზე პირდაპირი ხასიათის რეფლექსიაა. ის გულისხმობს გამოცდილების გათვალისწინებასა და ფიქრს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მისი დახვეწა" (გვ.13). „რეფლექსია-მოქმედებაშო"(reflection-in-action, (McGregor & Cartwright, 2011)) „შედარებით უფრო დახვეწილია და მოითხოვს დაუყოვნებლივ მოსაზრებას" (გვ. 16).

კვლევის საგნის ზოგადი დეფინიცია მდგომარეობს იმაში, რომ რეფლექსიის პროცესი ემყარება რეფლექსიურ აზროვნებას და "რეფლექსიური აზროვნება არის საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმირებული და ლოგიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი რასაც მოყვება ამავე გადაწყვეტილებათა შედეგების შეფასება(Taggart &Wilson, 1998, p.2).

ოსტერმანის მიხედვით (Osterman, 1990, გვ.134) რეფლექსირება არის “ამა თუ იმ ინდივიდის მოქმედებათა ღრმად გააზრება, განსაკუთრებით კი ეს ეხება პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ მოქმედებებს“. სხვა სიტყვებით, დეფინიცია ასეთი სახით შეიძლება ფორმულირდეს: იმის გაანალიზება, თუ **რა გაკეთდა, რა მიზნით გაკეთდა მეცადინეობისას და აგრეთვე იმის გათვალისწინებაც, იყო თუ არა ეს ქმედებები პრაქტიკული შედეგის მომტანი. სხვაგვარად, ეს არის დაკვირვებისა და შეფასების ერთგვარი ფორმა.** მეცადინეობისას ჩატარებული აქტიობების შესახებ მონაცემთა შეგროვებით და ამ მონაცემთა ანალიზირებისა და შეფასების მეშვეობით ჩვენ ვადგენთ და შევიმუშავებთ სწავლების პრაქტიკების საკუთარ მეთოდებს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მეთოდიკა გამოიყენება მხოლოდ ბოლო რამოდენიმე ათწლეულის განმავლბაში, რეფლექსიური სწავლების სხვადასხვა მეთოდები წარმატებული აღმოჩნდა მასწავლებელთა მიერ ინდივიდუალური პრაქტიკის მხრივ. მოცემული ნაშრომის ფარგლებში ჩვენ ფოკკუსირებას მოვახდენთ სწავლების რეფლექსიური მეთოდიკის სამ ფორმაზე: ექსპერტული დაკვირვება, დაკვირვებათა აღნუსხვის პრქტიკა და ჯგუფური კოლაბორაცია. ბეთულ აიშე საინ-ის (Betul Ayse SAIN, 2013) მიერ ვიდეო ჩაწერის მეთოდის ეფექტურობის დამტკიცების ფაქტი და მეთოდიკა არ გამოგვიყენებია მოცემულ ნაშრომში.

ექსპერტული დაკვირვება გულისხმობს “მასწავლებელს ან სხვა დამკვირვებელს, რომელიც აკვირდება და მონიტორინგს უწევს ენის გაკვეთილს ან ამ გავეთილის ნაწილს იმ მიზნით, რომ უკეთ გაიგოს სწავლების ცალკეული ასპექტების, დასწავლის ან სწავლების პროცესში უშუალო ურთიერთქმედების არსი“ (Richards & Farrell, 2005, გვ. 85).

დაკვირვებათა აღნუსხვის პრქტიკა: “დაკვირვებათა მუდმივი ჩაწერა, რეფლექსირება და სწავლების პროცესთან დაკავშირებული სხვა მოსაზრებები ძირითადად ჩანაწერისა თუ ელექტრონულ ფორმატში ჩაწერის სახით, რაც ემსახურება დისკუსიის, რეფლექსიისა და შეფასების მიზნებს“ (Richards & Farrell, 2005, გვ. 68).

დუფორ-ის (Dufour) მიხედვით ჯგუფური კოლაბორაცია არის “სისტემატური პროცესი, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლები მუშაობენ ერთად  იმ მიზნით, რომ გააანალიზონ და გააუმჯობესონ თავიანთი საკლასო-სამეცადინეო პრაქტიკები. მასწავლებლები მუშაობენ ჯგუფურად, ჩართულნი არიან კითხვათა დასმის რეჟიმში რაც ხელს უწყობს ღრმა ჯგუფურ შემეცნება-დასწავლას. თავის მხრივ, ეს პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებას (ციტირებული Honigsfeld & Dove, 2010, გვ. 90).

აღნიშნული სამი მეთოდი განხილულ და გაანალიზირებულია რეფლექსიური სწავლების ტექნიკურ, კონტექსტუალურ და დიალექტიკურ დონეებზე. ტექნიკურ დონეზე ფოკუსირება ხდება სწავლების ღირებულ და პრაქტიკულ გამოყენებაზე მიზნის მისაღწევად; მასწავლებელს გააჩნია იმ განსხვავებულ მეთოდთა სარგებლიანობის დადგენის განზრახვა, რაც გამოიყენება მეცადინეობებისას. კონტექსტუალური დონე მოიცავს ძირითადი თეორიებისა და საკლასო გამოცდილებათა ტრენდების ახსნასა და მსჯელობებს, ისევე როგორც გამოყენებულ  მიდგომათა შედეგებს. დიალექტიკური მეთოდი შეეხება იმ მორალისტურ და ეთიკურ საკითხებს, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება სწავლების პროცესს. აღნიშნული დონე მასწავლებლებს აძლევს იმის მოტივაციას, რომ შეაფასონ სკოლისა და კულტურის გავლენა მათზე, ისევე როგორც მათ პერფორმანსზე; ისინი განიხილავენ იმ პრობლემატური საკითხებს, როგორიცაა უთანხმოებები პიროვნულ პრინციპებსა და ინსტიტუციონალურ მოთხოვნებს შორის.

ჯგუფური კოლაბორაცია ხორციელდება რეფლექსიური აზროვნების სამივე დონეზე: დიალექტურ, კონტექსტუალურ და ტექნიკურ დონეებზე, რადგანაც, რეფლექსიური მასწავლებლები მიმართავენ სხვადასხვა შესაძლებელ პრაქტიკებს, აქვთ შეხება მორალურ, ეთიკურ და სოციოპოლიტიკურ საკითხებთან და ყურადღებას აქცევენ საქციელს, შინაარსსა და უნარჩვევებს.

ექსპერტული დაკვირვების მეთოდი წარმოადგენს რეფლექსიური აზროვნების კონტექსტუალური და ტექნიკური დონეების ნაწილს. იგი მოიცავს შესაძლებელი

პრაქტიკების მოსინჯვას; პრეფერენციები ემყარება ცოდნას და წინა ოლანზეა პასუხისმგებლობა; შინაარსი ემყარება კონტექსტსა და სტუდენტის მოთხოვნილებებს; განხილვა და ახსნა აგრეთვე ჩართულია აღნიშნულ პრაქტიკაში.
დაკვირვებათააღნუსხვისპრქტიკის იდენტიფიცირება შესაძლებელია რეფლექსიური აზროვნების დიალექტიკურ და ტექნიკურ დონეებთან. აღნიშნული მეთოდი მოიცავს მორალურ და ეთიკურ საკითხებს; კვლევის მეთოდი ორგანიზებულია; ავტორი თავისუფალია საფოკუსო ასპექტების შერჩევაში; აღნიშნული მეთოდის გამომყენებელიც აგრეთვე, ყურადღებას აქცევს საქციელს, შინაარსსა და უნარჩვევებს.

მოცემული ნაშრომის მიზანია შემდეგი ასპექტების გამოკვლევა:

1. რეფლექსიური სწავლების მეთოდების გავლენა მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე.
2. უწყობს თუ არა ხელს რეფლექსიური სწავლების მეთოდი მოსწავლის აკადემიური მოსწრების ამაღლებას.
3. დამოკიდებულება რეფლექსიური სწავლების მეთოდებისადმი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპასა და თურქულ საერთაშორისო სკოლებში.
4. როგორ იყენებენ ინგლისური ენის მასწავლებლები რეფლექსიური სწავლების მეთოდებს საქართველოში, ეგვიპტესა და თურქეთში.
5. როგორ შეიძლება განსხვავებული რეფლექსიური სწავლების მეთოდების გამოყენება სხვადასხვა ქვეყნების სკოლებში განსვავებულ კულტურულ და რელიგიურ ბექგრაუნდებში.

ნაშრომში განხილული პრობლემატური საკითხების ფორმულირება შასაძლებელია შემდეგი სახით:

1. რომლებია ყველაზე შესაფერისი რეფლექსიური სწავლების მეთოდები საქართველოში, ეგვიპტესა და თურქეთში?

2. არის თუ არა ექსპერტული დაკვირვებისა და დაკვირვებათა აღნუსხვის შერეული მეთოდი უფრო ეფექტური ვიდრე ეს უკანასკნელი ცალკე აღებული და გამოყენებული ინგლისური ენის სწავლებისას?

მოცემული ნაშრომის ჰიპოთეზები ფორმულირებულია შემდეგი სახით:

1. რეფლექტური სწავლების მეთოდების დანერგვა გაზრდის ინგლისური ენის მასწავლებელთა პროფესიონალიზმს და დახვეწავს მათ სწავლების უნარჩვევებს.
2. ექსპერტული დაკვირვებისა და დაკვირვებათა აღნუსხვის შერეული მეთოდის, როგორც რეფლექსიური სწავლების საშუალების დანერგვა გაუმჯობესებს მოსწავლეთა დასწავლის შესაძლებლობას და აამაღლებს მათი ინგლისური ენის ცოდნის დონეს.
3. ექსპერტული დაკვირვებისა და დაკვირვებათა აღნუსხვის შერეული მეთოდის, როგორც რეფლექსიური სწავლების საშუალების დანერგვა გაზრდის ინგლისური ენის მასწავლებლების თვით-შემეცნების უნარს.
4. ჯგუფური კოლაბორაცია იქნება ყველაზე ძლიერი და პროდუქტიული რეფლეტორული სწავლების საშუალება ინგლისური ენის მასწავლებლებისა თურქეთსა და ეგვიპტეში მათი კულტურული და რელიგიური ბექგრაუნდების გათვალისწინებით.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად ჩვენ გამოვიყენეთ კვლევის შემდეგი მეთოდები:

- საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვა  და ანალიზი
- კითხვარები
- ინტერვიუები
- დაკვირვებები
- კვაზი-ექსპერიმენტები
- მოპოვებულ მონაცემთა ხარისხობრივი და რაოდნობრივი ანალიზი
- ექსპერიმენტის შედეგად მოპოვებულ მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი

რადგანაც საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფები შერჩეულ იქნა შემთხვევითი მეთოდით, ჩვენ გამოვიყენეთ კვაზი-ექსპერიმენტი კვლევაში. მიღებული შედეგები სანდოა, რადგანაც, ყველა ცვლადები, დამოკიდებული და დამოუკიდებლების გამოკლებით ექვემდებარება კონტროლს.

ნაშრომი წარმოადგენს ემპირიულ, ხარისხობრივ და რაოდენობრივ კვლევას. შესასწავლი ქვეყნები და მასწავლებელთა და სტუდენტთა მიზნობრივი ჯგუფები შერჩეულ იქნენ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გარკვევის მიზნით.

**მეცნიერული სიახლე**

მიხუედავად იმისა, რომ არსებობს მრავალი ნაშრომი ინგლისური ენის სწავლების პროცესში რეფლექსიური სწავლების, როგორც თვით-დაკვირვებისა და თვით-შეფასების მეთოდის გამოყენების შესახებ, ჩატარებულია საკმაოდ **მცირე სისტემატური კვლევა კულტურულ თავისებურებათა გათვალისწინებით** საქართველოში, ეგვიპტესა და თურქთში. მოცემული ნაშრომი წარმოადგენს ინოვაციურ მიდგომას რაც გამოიხატება რეფლექსიური სწავლების მეთოდიკის შემუშავებას განსხვავებულ კულტურულ და რელიგიურ ბექგრაუნდებთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს აღნიშნულ მეთოდთან დაკავშირებული მრავალი ნაშრომი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, ეს სწავლების გამოცდილებები არ არის საკმარისად ეფექტური სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით კი - საქართველოში, ეგვიპტესა და თურქეთში აღნიშნული სასწავლო სპეციფიკისა და ტრადიციების გათვალისწინებით ჩემი ნაშრომი გვთავაზობს ექსპერტული დაკვირვებისა და დაკვირვებათა აღნუსხვის შერეულ მოდელს როგორც ყველაზე პროდუქტიულ რეფლექსიურ სასწავლო მეთოდს საქართველოში და ჯგუფური კოლაბორაციის მეთოდს ეგვიპტესა და თურქეთში ქვეყნებში. ამასთანავე, ჩემი კვლევა პირველია, რომელიც ჩატარდა თურქულ საერთაშორისო სკოლებში. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ეგვიპტესა და საქართველოს შორის გავლებული პარალელი დამყარებულია ავტრის პირად გამოცდილებაზე. ავტორს შესაძლებლობა ჰქონდა ემუშავა ამ ორ ქვეყანაში, ეწარმოა

დაკვირვება რეფელქსიურ პრაქტიკაზე და სწავლების დონის ასამაღლებლად მიეცა რჩევები.

**თეორიული მნიშვნელობა**

დისერტაცია განიხილავს თუ რაოდენ ეფექტურია რეფლექსიური სწავლების მეთოდების გამოყენება პროფესიული განვითარებისთვის და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გამოუჯობებისთვის. ავტორი, სასწავლო გარემოს სპეციფიური ასპექტებისა და ინდივიდუალური შეხედულებების გათვალისწინებით, გვთავაზობს საკუთარ ხედვას რეფლექსიური აზროვნების ეტაპების თეორიულ საკითხებზე. აგრეთვე იგი გვთავაზობს რეფლექსიური სწავლების შერეულ მოდელს (ექსპერტული დაკვირვება+და დაკვირვებათა აღნუსხვა).

კვლევის თეორიული საფუძველია:

- მკვლევარებისა და ფილოსოფოსების მიერ შემუშავებული რეფლექსიური სწავლების ცნება (Minott , 2009; Zeichner & Liston , 1996; Dewey, 1933)
- რეფლექტიურ აზროვნებასთან დაკავშირებული მოსაზრებები და თეორიები (Bigge & Shermis, 1992; Lasley, 1992; Van Manen, 1977; Taggart & Wilson, 1998)
- რეფლექსიური სწავლების პრაქტიკის ციკლი(Kolb, 1975; Gibbs, 1988)
- გამოცდილების საფუძველზე სწავლების სამი ფაზა: რეფლექსია მოქმედებაში, რეფლექსია მოქმედებაზე, გაცნობიერებულობა მოქმედებაში (Schon, 1987)
- ფუნდამენტური "რა და რატომ" კითხვები გამოიყენება რეფლექსიისას (Bartlett ,1990)
- მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის დახმარებით სწავლებისა და/ან დასწავლის პროცესებზე დაკვირვებისმიზანზე ორიენტირებულადშეფასება (Bailey, 2001; Hopkins, 2002)
- დაკვირვების სახეები (O'Leary, 2014)
- საკლასო აქტიობებისას წარმოქმნილ პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრებები(Wang & Seth,1998; Bennet,1992; Randall & Thornton, 2001)

- სწავლების პრაქტიკის წერილობითი ანგარიშების სხვადასხვა სახეები (Powell, 1985; Pak, 1985; Richards, 1990; Abbs, 1974; Richards & Lockhart, 1996; Brock, Ju & Wong, 1991; McNiff, Lomax & Whitehead, 2003)
- მეცადინეობათა ჩაწერის მიდგომა (Rich & Hannafin, 2009; Goodlad, 1984; Jay, 2003; Ayers, 2003)
- რეფლექსიისთვის გამოყენებული სტუდენტთა უკუკავშირები (Moon,1999)
- კოლაბორაციული ჯგუფური მუშაობის გამოყენება და მისი უპირატესობები (Lieberman & Grolnick,1998; Larson& Frank, 1989)
- რეფლექსიური სწავლების პრაქტიკის უპირატესობები(Farrell, 2004; Cole, 1997; Calderhead,1992; Elder & Paul, 1994; Halpern,1996; Zeichner& Liston,1996; Markham,1999; Cunningham, 2001)
- რეფლექსიური პრაქტიკის ხელისშემშლელი ფაქტორები (Johnstone, 1993; Smithers & Robinson, 2003; Maxwell-Jolly, 2000; Long, Frye & Long, 1985)
- რეფლექსიური მეთოდის დანერგვის მსურველთათვის აუცილებელი საკომუნიკაციო უნარჩვევები(Jacobs,1998; Gladding, 2000; Switzer, 1986; Belkin, 1988; Feldman, 1997; McCann & Baker, 2001; Hutchins & Vaught, 1997; Henderson ,1992)
- ეფექტური რეფლექსიური სწავლების მეთოდი გამოიყენება სკოლებში ნეგატიური ფაქტორების შესამცირებლად(Posner, 1989; Cole, 1997; Calderhead, 1992; Zeichner & Liston, 1996)
- თურქული საერთაშორისო სკოლების ცნება (Muhammed Cetin, 2012; Dogu Ergil, 2012; Hunt & Aslandogan, 2007; Gulen, 2006)

რეფლექსიური აზროვნება განისაზღვრება როგორც საგანმანათლებლო საკითხების შესახებ გაცნობირებული და ლოგიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი (Taggart &Wilson, 1998, გვ.2). რეფლექსიური სწავლება ხდება აზროვნების სხვადასხვა დონეზე. დაკვირვების მეთოდი კონტექსტუალური და ტექნიკური დონის ნაწილია, რაც გულისხმობს „მასწავლებლის ან სხვა მეთვალყურის ენის გაქვეთილის მონიტორინგს“ (Richards & Farrell, 2005, გვ. 85). დაკვირვებათა აღნუსხვა დიალექტიკური და ტექნიკური დონის ნაწილია და იგი წარმოადგენს „დაკვირვებების, რეფლექსიისა და სწავლების

შესახებ სხვა აზრების მიმდინარე წერილობითი ანგარიშს“ (Richards & Farrell, 2005, გვ. 68). ჯგუფური კოლაბორაცია დიალექტიკურ, ტექნიკურ და  კონტექსტუალურ დონეთა ნაწილია. ეს არის „ სისტემატიური პროცესი, სადაც მასწავლებლები მუშაობენ ერთად რათა გაანალიზონ და დახვეწონ მათი სწავლების პრაქტიკა“ (ციტირებული Honigsfeld & Dove, 2010, გვ. 90).

## კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა

საყოველთაოდ მიღებულია მოსაზრება, რომ რეფლექსიური სწავლების მეთოდი ახდენს  მნიშვნელოვან გავლენას როგორც მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე, ისევე სტუდენტის აკადემიურ მოსწრებაზეც. ექსპერტული დაკვირვებისა და დაკვირვებათა აღნუსხვის შერეული მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნას ინგლისური ენის მასწავლებელთა მიერ არა მარტო თურქულ საერთაშორისო სკოლებში, არამედ სხვა სახის სკოლებშიც. დაკვირვებისა და შეფასების ფორმა ექსპერტული დაკვირვების ფარგლებში შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნას მასწავლებელთა მიერ. ნაშრომში მოცემული რეკომენდაციები სავარაუდოდ, საშუალებას მისცემს ინგლისური ენის მასწავლებლებს, სკოლების ადმინისტრაციებსა და პოლიტიკის შემმუშავებელთ ფართოდ  ჩართონ რეფლექსიური სწავლების მეთოდიკა სწავლების პროცესში ზოგადად.

## ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედეგება შემდეგი ნაწილებისგან: შესავალი, 3 თავი, დასკვნა, რეკომენდაციები და 7 დანართი. მასში მოცემულია 22 ცხრილი და 22 სქემა.

## თავი 1 - ლიტერატური მიმოხილვა - ინგლისური ენის მასწავლებელთათვის რეფლექსიური სწავლების მეთოდები

აღნიშნულ თავში განხილულია რეფლექსიური სწავლების მეთოდების თეორიული საფუძვლები, რაც კავშირშია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან. ნაჩვენებია, რომ მასწავლებლები წარმოადგენენ საკუთარი პროფესიული განვითარების უმთავრეს მოთამაშეებს, მაგრამ ამასთანავე, მეტად მნიშვნელოვანია ადმინისტრაციის როლიც. აუცილებელია მოთხოვნილებათა ანალიზი რათა დადგინდეს მასწავლებელთა ინდივიდუალური და ინსტიტუციონალური საჭიროებანი, მათი ჩართვა შესაბამის ტრენინგებსა თუ სემინარებში. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი ფაქტორები მოცემულია შემდეგი ფორმით:

მასწავლებლების პროფესიული განვითარება

| ფაქტორები | მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ლ ე ბ ი |
|---|---|
| შინაარსის ცოდნა | ინგლისური ენის ცოდნა: პროდუქტიული და ათვისების უნარები |
| მეთოდოლოგიის ცოდნა | შესაბამისი სწავლების მეთოდების, მიდგომებისა და ტექნიკის ცოდნა. სწავლების უნარების მუდმივი ათვისება, სწავლების მეთოდები მულტიკულტურული და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის. |
| თვითშემეცნება | სწავლების პრაქტიკაზე დაკვირვების უნარი; სწავლების სუსტი და ძლიერი მხარეების განსაზღვრა. |
| პიროვნული განვითარება | სწავლების ხარისხის ზრდა და სტუდენტებში აკადემიური მიღწევების უზრუნველყოფის უნარი |
| მოტივაცია | სურვილი, გახდე პროფესიულად განვითარებული |

| | |
|---|---|
| | მასწავლებელი |

აღნიშნულ თავში აგრეთვე მოცემულია რეფლექსიური სწავლების მეთოდის დეტალური ანალიზი. მეთოდის უპირატესობები და სუსტი მხარეები მოცემულია შემდეგი სახით:

რეფლექსიური სწავლების მეთოდები

| რეფლექსიურისწავლების მეთოდები | **აღწერა** | **უპირატესობები** | **ნაკლოვანებები** |
|---|---|---|---|
| **დაკვირვება** | დაკვირვება - დამკვირვებელი ესწრება ერთ ან მეტ საკლასო სესიას; იწერს პრაქტიკანტის სწავლების პროცესს და აკვირდება მოსწავლეების ქცევას; ამის შემდგომ მასწავლებელთან ერთად განიხილავს არსებულ ჩანაწერს. | პიროვნება აკვირდება სასწავლო პროცესს და თავად არის დაკვირვების საგანი; ეს ამაღლებს მასწავლების თვითდაჯერებულობას; მასწავლებლებს შეუძლიათ  უკეთ აღიქვან კოლეგებისგან მომავალი რჩევები | მოითხოვს საკმაოდ ბევრ დროს; მასწავლებლებმა შესაძლოა ჩათვალონ, რომ მათი ცოდნა დამკვირვებელზე უფრო მეტია; მიკერძოებულობა, შიში კრიტიკისადმი. |
| **გამოცდილებების წერილობით** | წერილობითი აღწერა საშუალებას აძლევს | ხდება დეტალური ინფორმაციის ჩაწერა. ჟურნალები | მოითხოვს ბევრ დროს და შესაძლოა არ იქნას |

| | | | |
|---|---|---|---|
| **ი აღწერა** | მასწავლებელს შეაფასოს ჩატარებული სესია. მათ შეუძლიათ დააკვირდნენ და გამოავლინონ რამდენად არის ასახული მათ მიერ შემუშავებული სწავლების თეორიები სასწავლო პროცესში. სამომავლო ანალიზისთვის კეთდება მოვლენებისა და მოსაზრებების ჩანაწერი. | მოქმედებენ როგორც „ფანჯრები“ და დახმარებას უწევენ მასწავლებლებს მენჯმენტური უნარებისა და სწავლების სტრატეგიების აღმოჩენის საკითხში. | დამახსოვრებული გარკვეული მნიშვნელოვანი ფაქტორები. |
| **ერთობლივი ჯგუფური მუშაობა** | ეს არის დასახული მიზნის მიღწევად ერთობლივი ჯგუფური მუშაობის პროცესი. | უზრუნველყოფს ერთობლიობას იმ ჯგუფის წევრებს შორის, რომლებიც ერთმანეთს უზიარებენ იდეებს, სასწავლო გეგმას, სასწავლო | მოითხოვს ბევრ დროს; შეუთანხმებლობამ შესაძლოა შეაყოვნოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესი; შესაძლოა მკაფიოდ |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | სტრატეგიებს და განიხილავენ პრობლემური საკითხების გადაჭრის გზებს. | გამოიკვეთოს ჯგუფის ერთი ან ორი წევრის ლიდერობა; მოსაზრებების უმრავლესობა შესაძლოა უგულებელყოფილი იყოს ჩანაწერების გაკეთების გარეშე. |

ამ თავში აგრეთვე გაანალიზირებულია რეფლექსიური აზროვნების პროცესი, როგორც საგანმანათლებლო საკითხებზე გაცნობიერებული და ლოგიკური დასკვნების გამოტანის საშუალება, რაც შესაძლებელი ხდება სამი მნიშვნელოვანი დონის პროცესში ჩართვით: ტექნიკური, კონტექსტუალური და დიალექტიკური. აღნიშნული სამი მეთოდი არის მეტად მნიშვნელოვანი მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის რადგანაც, მათ მოეთხოვებათმეთოდოლოგიური ინფორმაციაზე დაკვირვება და შეფასება იმ მიზნით, რომ ეფექტურად მოგვარდეს არსებული პრობლემები. იქედან გამომდინარე, რომ ჩემი სამომავლო კვლევის ძირითადი საგანი იქნება მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, ზემოთ აღნიშნული სამ დონიანი რეფლექსიური სააზროვნო პროცესი იქნება გამოყენებული აუცილებელი მონაცემების მოპოვების მიზნით. მოცემულ კვლევაში გამოყენებული რეფლექსიური მეთოდები დაუფუძნება რეფლექსიური აზროვნების შემდეგ დონეებს.

რეფლექსიური აზროვნების დონეები

| **რეფლექსიურიაზროვნების დონე** | **მახასიათებელი** | **მასწავლებლის როლი** |
|---|---|---|
| **დიალექტიკური დონე** | ეხება მორალურ, ეთიკურ და სოციო-პოლიტიკურ საკითხებს; ორგანიზებული მსჯელობა; პიროვნული დამოუკიდებლობა და თვითშემეცნება. | მასწავლებლები ინარჩუნებენ თავიანთ არჩევანს და აფასებენ ეთიკურ ჩვენებებს; ისინი ამოწმებენ რამდენად შეესაბამება სასურველი სოციალური საკითხები გამოყენებულ მეთოდებს. მასწავლებლები აფასებენ სკოლისა და კულტურის მიერ მათზე და მათ მოქმედებებზე გავლენას. ისინი განიხილავენ იდივიდუალური პრინციპებისა და ინსტიტუციონალური მოთხოვნების შეუთანხმებლობით გამოწვეულ პრობლემებს. |
| **კონტექსტუალური დონე** | იგი იკვლევს შესაძლო პრაქტიკებს; | მასწავლებლები გამორიცხავენ |

| | | |
|---|---|---|
| | უპირატესობები დაფუძნებულია ცოდნასა და პასუხისმგებლობაზე. შინაარსი დაფუძნებულია კონტექსტსა და სტუდენტის მოთხოვნებზე; გამოკვლევა/განმარტება; პრინციპების განმტკიცება. | მოსაზრებას მხოლოდ ერთი „ჭეშმარიტი“ ინსტრუქციის არსებობის შესახებ და ცდილობენ გამოიყენონ ბევრი სხვადასხვა მიდგომის ხელსაყრელობა. ისინი დამოუკიდებლები არიან თავიანთ არჩევანსა  და პასუხიმგებლობის აღების საკითხში. |
| **ტექნიკური დონე** | ყურადღება ექცევა ქცევას/შინაარსს/უნარს; აღწერა არის მარტივი და თეორიული; აქცენტი კეთდება წარსულში არსებულ გამოცდილებებზე; მასწავლებლის კომპეტენცია შედეგების მიღწევის საკითხში. | მიზნის მისაღწევად მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს განათლების ხელსაყრელ და პრაქტიკულ გამოყენებაზე. მასწავლებელი მიზნად ისახავს განსაზღვროს გაკვეთილზე გამოყენებული სხვადასხვა მეთოდის სარგებლიანობა. |

თავში ხაზგასმულია, რომ რეფლექსიური სწავლების პრაქტიკა ეხმარება მასწავლებლებს უკვე გაკეთებულსა და სამომავლოდ დაგეგმილ ქმედებებს შორის კავშირის დადგენაში. არნიშნულ პროცესებზე დაკვირვება მიზნად ისახავს სწავლების ხარისხისა და პროფესიონალიზმის დონის გაზრდას. იგი ეხმარება მასწავლებლებს იმის გაგებაში, თუ როგორი უნდა იყოს სწავლის მაღალი ხარისხი და აგრეთვე აწვდის მათ ახალ იდეებს განვითარებისთვის. რეფლექსიის უმთავრესი როლია დაეხმაროს მასწავლებლებს თავიანთი გამოცდილებების განვითარებაში. ამგვარი პრაქტიკების დახმარებით ინდივიდები პოულობენ კავშირს გრძნობებს, აზრებსა და ქმედებებს შორის სწავლების პროცესში. აუცილებელია იმის ხაზგასმაც, რომ ემოციები აკონტროლებენ აზრებს და გავლენას ახდენენ მოქმედებებზე. შეიძლება ითქვას, რომ კრიტიკული რეფლექსია აფართოებს სწავლების გაგებას ზოგადად და ასეთი მოდგომა შესაძლებლობას აძლევს მასწავლებლებს გახდნენ უფრო თვით-დაჯერებულნი სხვადასხვა ალტერნატივების შემოწმებისას და მათი სასწავლო პროცესზე გავლენის დადგენისას. იმ მასწავლებლებს, რომლებმაც იციან მეტი თავიანთი სწავლების სტილის შესახებ, აქვთ უკეთესი შესაძლებლობა თავიანთი პროფესიული განვითარების შეფასების მხრივ. თუკი მასწავლებლები იუმჯობესებენ საკუთარ ანალიტიკურ და ინტუიციურ შესაძლებლობებს რეფლექსური სწავლების მეშვეობით, ისინი უკეთ შეძლებენ ეფექტური უკუკავშირის განხორციელებას, შეფასებას, მიმოხილვას და საკითხებთან მიმართებაში მოქნილად მოქმედებას.

## თავი 2 - რეფლექსიური სწავლების პრაქტიკული შედეგები

მოცემული თავის ძირითადი მიზანია იმ რეფლექტორული სწავლების მეთოდების პრაქტიკული შედეგების აღწერა, რომლებიც ჩვენს მიერ გაანალიზირებულ იქნა ლიტერატურის მიმოხილვის ფარლგებში. აგრეთვე, განხილულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპასა და თურქულ საერთაშორისო სკოლებში ინგლისური ენის

მასწავლებელთა მიერ გამოყენებული რეფლექსიური სწავლების მეთოდები და მოცემულია მათი სწავლების სტრატეგიებსა და სასწავლო უნარჩვევებთან დაკავშირებული მონაცემები. გაანალიზირებულია აგრეთვე ამ მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული რიგი პრაქტიკული საკითხებისა.

თავის პირველი ნაწილი ეხება თურქულ საერთაშორისო სკოლებს: ჩაღლარის ნიკოლოზ წერეთელის საერთაშორისო სკოლას, თბილისი, საქართველო და სალაჰალდინის საერთაშორისო სკოლას, კაირო, ეგვიპტე. აღნიშნულ სკოლებში გამოყენებულ იქნა რეფლექსიური სწავლის მეთოდი. თავის მეორე ნაწილში მოცემულია ამერიკული და ევროპული გამოცდილებები რეფლექსიური სწავლების პრაქტიკების მხრივ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოყენებული დაკვირვების რეფლექსიური მეთოდი მოცემულია რიგ მოდელებში.

დაკვირვების სხვადასხვა მოდელები(Craig, 2012, p.71)

| **მახასიათებელი** | **შეფასები მოდელი** | **განვითარებისმოდელი** | **ექსპერტული მიმოხილვის მოდელი** |
|---|---|---|---|
| **ვინ ახორციელებს ამას და ვისთვის?** | უფროსი თანამშრომლების დაკვირვება სხვა პერსონალზე | საგანმანათლებლო დეველოპერები აკვირდებიან პრაქტიკოსებს ან ექსპერტ მასწავლებლებს | მასწავლებლებს შორის ურთიერთდაკვირვება |
| **მიზანი** | შეუსრულებლობის დადგენა სტაჟის დადასტურება, დაფასება, დაწინაურება, ხარისხის უზრუნველყოფა, | კომპეტენციის დემოსტრირება/სწავლების კომპეტენციების გაუმჯობესება; შეფასება | სწავლების შესახებ არსებულ დისკუსიაში ჩართვა; თვითაღქმა დაურთიერთ რეფლექსირება |

| | | | |
|---|---|---|---|
| | შეფასება | | |
| **შედეგი** | ანგარიში/გადაწყვეტილება | ანგარიში/სამოქმედო გეგმა; ჩაბარება/ჩაჭრა | ანალიზი, დისკუსია, სწავლების მეთოდების ფართო გამოყენება |
| **ურთიერთობადამკვირვებელსა და დაკვირვების ქვეშ მყოფს შორის** | ძალა | ექსპერტის შეფასება | თანასწორობა/თანაზიარობა |
| **კონფიდენციალურობა** | მენეჯერს, დამკვირვებელსა და დაკვირვების ქვეშ მყოფ თანამშრომელს შორის | დამკვირვებელსა და დაკვირვებულშემმოწმებელს შორის | სასწავლო პროცესის ფარგლებში დამკვირვებელსა და დაკვირვების ქვეშ მყოფს შორის |
| **მსჯელობა/გადაწყვეტილება** | ჩაბარება/ჩაჭრა, ანგარიში, ხარისხი, ღირსეული/არაღირსეული | როგორ გავაუმჯობესოთ; ჩაბარება/ჩაჭრა | შეფასების გარეშე, კონსტრუქციული უკუკავშირი |
| **რა არის დაკვირვების საგანი?** | სასწავლო პერფორმანსი | სასწავლო პერფორმანსი, კლასი, სასწავლო მასალები | სასწავლო მოქმედება, კლასი, სასწავლო მასალები |
| **ვინ სარგებლობს?** | დაწესებულება | დაკვირვების ობიექტი | თანაბრად კოლეგებს შორის |
| **რისკები** | მონაცვლეობა, თანამშრომლობის უკმარისობა, ოპონირება | გაუზიარებელი მფლობელობა, გავლენის ნაკლებობა | კომპეტენცია, კონსერვატიზმი, არაფოკუსირებული |

ამერიკულ და ევროპულ სკოლებში ხდება სწავლების ფორმალური და არაფორმალური რეფლექსირების ადრეული აღრიცხვა. საგანმანათლებლო სისტემამ ორივეგან წარმატებულად შეიმუშავა და დანერგა რეფლექსიური სწავლების მეთოდები და საშუალება მისცა მასწავლებლებს განვითარებულიყვნენ პროფესიულად. დღესდღეობით სკოლის მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ მოახდინონ თავიანთი სამასწავლებლო გამოცდილების რეფლექსია და მიმოხილვა. ისინი იყენებენ ექსპერტული დაკვირვების, დაკვირვებათა აღნუსხვისა და ჯგუფური კოლაბორაციის მეთოდიკას სტრატეგიების, გეგმების, ტექნიკებისა და სასწავლო რესურსების მიმოხილვის მიზნით. ამასთანავე ისინი აფასებენ კურსებსა და სასწავლო მასალებს. რეფლექსიის ყველა საფეხური სათანადოდ იგეგმება და გამოიყენება შეფასებისა და პროფესიული განვითარებისთვის.

თურქული საერთაშორისო სკოლების უპირველესი დანიშნულებაა დასაქმებულთა განვითარება და მათი პროფესიონალიზმის ამაღლება. ადმნისტრაციები ყოველთვის ცდილობენ დაეხმარონ მასწავლებლებს და გააფართოვონ მათი ცოდნის არეალი და პრაქტიკები. ნიკოლოზ წერეთელის საერთაშორისო სკოლა რეგულარულად აწყობს ფოკუს კლასების შეხვედრებს, რაც წარმოადგენს ექსპერტული დაკვირვების ერთგვარ სახეს. თუმცა, ეს მეთოდი ნაკლებად ორგანიზებულია: არ ტარდება წინასწარი ან შემდგომი კონფერენციები მასწავლებელთათვის და იგი ნაკლებად ხელსაყრელია დაკვირვებაში მონაწილეობის მიმღებთათვის.

მოცემულ თავში განხილულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სალაჰალდინის საერთაშორისო სკოლაში გამოყენებული საკლასო დაკვირვების სისტემა უფრო დახვეწილი ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დაწესებულებაში არ ტარდება დამკვირვებელსა და დაკვირვებულ მასწავლებლებს შორის დაკვირვების შემდგომი განხილვები, ექსპერტული დაკვირვების მეთოდი შესაძლებლობას აძლევს ახალ მასწავლებლებს მოერგონ სკოლის მეთოდიკას, ადმინისტრაციას, წესებს, ახალ მოსწავლეებს და ა. შ.

**თავი 3 - მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და კვლევის შედეგები**

კვლევა გვთავაზობს ორი ნაშრომის შედეგებს:

**ნაშრომი 1** - მიგნებები და ანალიზი: საქართველოში, ეგვიპტესა და თურქეთში რეფლექსიური სწავლებისადმი დამოკიდებულება, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში, ეგვიპტესა და თურქეთში ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის რეფლექსიური სწავლების მეთოდების ოპტიმალური ვარიანტის შემუშავებას.

ნაშრომის პირველი ნაწილი ეხება ინგლისური ენის მასწავლებლების დამოკიდებულებას რეფლექსიური სწავლების პრაქტიკებისადმი ეგვიპტესა და თურქეთში. ნაშრომის პირველი ნაწილში განსაზღვრულია ინგლისური ენის მასწავლებელთა პროფესიული ზრდის დონეები თურქულ საერთაშორისო სკოლებში. ნაშრომი აგრეთვე მიზანს ისახავს სკოლის ადმინისტრაციის მასწავლებელთა პროფესიული განვითარებაში ჩართულობის მნიშვნელობის ანალიზირებასაც. გამოკითხვა ჩატარდა 2014 წლის შემოდგომის სემესტრში, სალაჰალდინის თურქულ საერთაშორისო სკოლაში, ეგვიპტე. როოგორც ლიტერატურის მიმოხლივის ფარგლებში დავინახეთ, თურქული საერთაშორისო სკოლები ზოგადად ხელს უწყობენ მასწავლებელთა პროფეისულ განვითარებას და უზრუნველყოფენ მათ რიგი საგანმანათლებლო შესაძლებლობებით. მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს სკოლის ადმინისტრაციის დახმარებასა და სწავლების მეტოდების გაუმჯობესების მსურველ მასწავლებლთა შორის კორელაციის ხაზგასმა.

ნაშრომის მეორე ნაწილი ჩატარდა საქართველოში რათა დადგენილიყო ქართველი მასწავლებლების დამოკიდებულება რეფლექსიური სწავლებისადმი.

**ნაშრომი 2** - მიგნებები და ანალიზი: ექსპერტულიდაკვირვებისა და დაკვირვებების აღნუსხვის მეთოდის ექსპერიმენტი, რომელიც მიზნად ისახავს ამ ორი შერეული მოდელის სარგებლიანობის დამტკიცებას საქართველოში ინგლისური ენის სწავლების პროცესში. საექსპერიმენტო პროცესი ჩატარებულ იქნა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან მიმართებაში ჩაღლარის დაწესებულების ნიკოლოს წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლაში, თბილისი. ექსპერიმენტის მიზანია რეფლექსიური

სწავლების მეთოდის ეფექტურობის დამტკიცება მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების კონტექსტში. კვლევა ჩატარდა 2012/2013 წლების შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში. ექსპერიმენტული და კონტროლის ჯგუფების პარამეტრები მოცემულია ქვემოთ.

ექსპერიმენტული და კონტროლის ჯგუფების პარამეტრები

| ექსპერიმენტული ჯგუფი | | კონტროლის ჯგუფი |
|---|---|---|
| **სტუდენტების რაოდენობა** | 11 | 13 |
| **ეროვნება** | 5 -თურქი | |
| | 3- ქართველი | 10- ქართველი |
| | 3- აზერბაიჯანელი | 3- აზერბაიჯანელი |
| **ინგლისური ენის ცოდნის დონე** | დამწყები | დამწყები |

კონტროლის ჯგუფებში მეცადინეობები ჩატარდა ტრადიციული ფორმით - პროცესს არ ესწრებოდნენ დამკვირვებელი მასწავლებლები. საექსპერიმენტო ჯგუფისგან განსხვავებით, სადაც მასწავლებელი იყენებდა რეფლექსიური სწავლების კომბინირებულ მეთოდს: ექსპერტული დაკვირვება + დაკვირვებათა აღნუსხვას, ჩვენ პროცესში გამოვიყენეთ მხოლოდ დაკვირვებათა აღნუსხვის მეთოდიკა. დაკვირვების პროცესში ექსპერიმენტული და კონტროლის ჯგუფები 4-ჯერ იქნა შეფასებული: 1 - პროცესამდე, 2 - პროცესში და 1 - პროცესის შემდგომი ტესტების მეშვეობით. ექსპერიმენტული ჯგუფისთვის ტესტების შედეგები მოცემულია ცხრილში 3.3 რომელიც გვიჩვენებს 11 მოსწავლის პერფორმანსს შეფასების ოთხ განსხვავებულ ეტაპებზე. ქვემოთ მოცმეულ ცხრილში ჩართული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ინგლისური ენის ათვისების მხრივ ყველა მოსწავლეს ჰქონდა მუდმივი გაუმჯობესება. თუმცა, თუკი ავიღებთ პროცესამდე და  პროცესში ჩატარებულ პირველ ტესტებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ გაუმჯობესებები არც თუ ისე საგრძნობი იყო. მეორეს მხრივ, ქულები ამაღლდა პროცესში და შემდგომ ჩატარებულ მეორე ტესტების მონაცემთა მიხედვით.

**Table 3.5**ექსპერიმენტული ჯგუფის შედეგები

| სტუდენტი | წინასწარი ტესი | პირველი ტესტი | მეორე ტესტი | ტესტის შემდგომ | მნიშვნელობა |
|---|---|---|---|---|---|
| სტუდენტი 1 | 18 | 24 | 27 | 29 | **+11** |
| სტუდენტი 2 | 21 | 21 | 26 | 30 | **+9** |
| სტუდენტი 3 | 16 | 18 | 23 | 25 | **+9** |
| სტუდენტი 4 | 22 | 24 | 29 | 30 | **+8** |
| სტუდენტი 5 | 10 | 12 | 16 | 23 | **+13** |
| სტუდენტი 6 | 14 | 14 | 19 | 23 | **+9** |
| სტუდენტი 7 | 17 | 19 | 24 | 27 | **+10** |
| სტუდენტი 8 | 25 | 26 | 30 | 30 | **+5** |
| სტუდენტი 9 | 17 | 18 | 22 | 24 | **+7** |
| სტუდენტი 10 | 20 | 22 | 27 | 29 | **+9** |
| სტუდენტი 11 | 22 | 25 | 30 | 30 | **+8** |
| | **საშუალო 18** | **საშუალო20** | **საშუალო 25** | **საშუალო 27** | |
| | **მედიანა 18** | **მედიანა 21** | **მედიანა 26** | **მედიანა 29** | |
| | **სახეობა 10, 17, 22** | **სახეობა 18, 24** | **სახეობა 27, 30** | **სახეობა 30** | |
| | **სტანდარტული გადახრა 5** | **სტანდარტული გადახრა 4** | **სტანდარტული გადახრა 4** | **სტანდარტული გადახრა 3** | |

შედეგები აჩვენებს, რომ ტესტების საშუალო შეფასებები იზრდება თითოეულ საფეხურზე. პროცესამდე ტესტში უმაღლესი ქულა იყო 25, პროცესში ჩატარებულ პირველ ტესტში უმაღლესი შეფასება იყო 26, პროცესში და პროცესის შემდგომ მეორე ტესტებში კი უმარლესი შეფასება იყო 30. უნდა აღინიშნოს, რომ პროცესის შემდგომ ტესტში 11 მოსწავლიდან 4-მა მიიღეს 30 ქულა, უმდაბლესი ქულა კი იყო 23.

პროცესამდე ტესტის საშუალო შეფასება იყო 18, პროცესში ჩატარებული პირველი ტესტის საშუალო ქულა კი 21, ხოლო პროცესში ჩატარებული მეორე ტესტის 26, პროცესის შემდგომ ტესტისა 29.

მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასების მეორე საფეხურზე საგრძნობი გაუმჯობესება აჩვენა მხოლოდ ერთმა მოსწავლემ. აღნიშნული საფეხურის შემდეგ მისი შეფასება გაუმჯობესდა 6 ქულით (18-24). თუმცა, მესამე საფეხურის მონაცემებიდან ჩანს, რომ 11 მოსწავლიდან 7-ის ქულები გაიზარდა 5 ერთეულით.

ექსპერიმენტული და კონტროლის ჯგუფების შედარებითი სურათი ნაჩვენებია შემდეგი ცხრილის მაგალითზე.

*ტესტირების შედეგების საშუალო არითმეთიკულისა და მედიანას შედარება*




ოთხ საფეხურიანი შეფასების მეთოდის მეშვეობით დგინდება მუდმივი გაუმჯობესება ექსპერიმენტალურ ჯგუფში. რიგით მე-6 მოსწავლემაც კი, რომელსაც ჰქონდა უმდაბლესი შეფასება პროცესამდე ტესტის მიხედვით (14), გაიუმჯობესა საკუთარი შეფასება 9 ქულით პროცესის შემდგომი ტესტის მიხედვით. თუკი ავიღებთ

კონტროლის ჯგუფის მე-10 მოსწავლის ტესტამდელ შეფასებას (9), აღმოვაჩენთ, რომ ეს შედეგი ტესტის შემდგომ მხოლოდ 5 ქულით გაუმჯობესდა. შესაბამისად, ექსპერიმენტალურ ჯგუფში მიღწეულ იქნა გაცილებით მაღალი შედეგები. კოლეგათა კოლაბორაციამ შესაძლებელი გახადა მოსწავლეთა პერფორმანსის საგრძნობი გაუმჯობესება. კონტროლის ჯგუფში ტესტამდელი უმაღლესი შეფასება იყო 26. აღსანიშნავია, რომ ეს შედეგი არ შევცლილა არც ტესტის შემდგომ. კონტროლის ჯგუფისგან განსხვავებით, ექსპერიმენტალური ჯგუფის მოსწავლეებმა მიიღეს უმაღლესი შეფასება (30 ქულა) ტესტის შემდგომ.

მასწავლებელთა პროფესიული პროგრესის დასადგენად ჩვენ გამოვიყენეთ მასწავლებელთათვის შეფასების სისტემა, რომელიც მოცემულია შემდეგ წყაროში: Chism (2007). სპეციალური ფორმები ექსპერტული დაკვირვებისთვის დაურიგდათ მასწავლებლებს, რომლებიც იყვნენ დაკვირვების ობიექტები. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ დაკვირვების ობიექტმა მასწავლებლებმა მართლაც გაიუმჯობესეს თავიანთი გამოცდილებები მოსწავლეთა მოტივაციის, მათი საჭიროებების მიხედვით ცოდნის მიწოდების, დროის ეფექტურად მართვისა და მოსწავლეებთან ურთიერთობის დამყარების მხრივ. საგულისხმოა, რომ პროგრესი უკვე იგრძნობა პირველივე კვირიდან და აღწევს წარმატების წერტილს ბოლო კვირისთვის. პროგრესის ხაზი ნაჩვენებია მოცემული ცხრილის მეშვეობით.

*დაკვირვების ობიექტი მასწავლებლის პერფორმანსის შეფასება*




ექსპერიმენტმა გამოავლინა ის ფაქტი, რომ ექსპერტული დაკვირვებისა და დაკვირვებათა აღნუსხვის შერეული მოდელი ეფექტურია რეფლექსიური სწავლების მეთოდიკის კონტექსტში მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მხრივ.

**დასკვნა**

ქვემოთ მოცემულია კვლევის შედეგები:

- ლიტერატურის მიმოხილვამ ნათელყო, რომ რეფლექსიური სწავლების მეთოდი ზრდის სწავლების ხარისხს და პროფესიონალიზმის. სკოლის მასწავლებელთა აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა რეფლექსიური სწავლების პრაქტიკებში გააჩნია მეტად პოზიტიური გავლენა სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე. რეფლექსიური სწავლება მასწავლებლებს მოტივაციას უმაღლებს. რეფლექსიური პრაქტიკა არ მოითხოვს სრულიად ახალი რამის პოვნას, არამედ უკვე ცნობილი ფაქტის უკეთესად აღქმასა და შეცნობას.

- თურქულ საერთაშორისო სკოლებში რეგულარულად ტარდება სხვადასხვა ტრენინგები და სემინარები მასწავლებლებისთვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არცერთი პროგრამა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მასწავლებელმა აჩვენოს მაღალი და ადექვატური პერფორმანსი ყველა სახის საკლასო აქტიობებში. შესაბამისად, ინსტრუქტორებისთვის აუცილებელია ჩართულნი იყვნენ რეფლექსიის პროცესში იმ მიზნით, რომ მოახდინონ ფორმალურ-თეორიული ცოდნის პრაქტიკულ სფეროში გამოყენება.
- ადმინისტრაციის როლი მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაში არის მეტად მნიშვნელოვანი. ნათელია, რომ აუცილებელია არა მხოლოდ მასწავლებელთა შინაგანი მოტივაცია გაუმჯობესებისა და სიახლეებისადმი, არამედ გარეგანი ტიპის მოტივაციაც, რაც გამოიხატება ადმინისტრაციის ჩართულობით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესში.
- ეგვიპტეში ჩატარებული გამოკითვის საფუძვლეზე მიღებული მონაცემების მიხედვით, რაც შეეხებოდა კულტურულ საკითხებს რეფლექსიური სწავლების პრაქტიკების დანერგვაში დადგინდა, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს კოლაბორაციულ ჯგუფურ მუშაობაში ჩართულობას კოლეგათა მხრიდან დაკვირვების ობიექტად ყოფნის მაგიერ, რაც გამოწვეულია **მუსულმანი ქალი და კაცი მასწავლებლების ერთგვარი რელიგიური კოდის მოთხოვნებით**. ორივე სქესი თავს არიდებს მუშაობას საპირისპირო სქესთან, რადგანაც შესაძლებელია განხილვის პროცესში მარტო დარჩენა საპირისპირო სქესის კოლეგასთან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული სახის უხერხულობა.
- საქართველოში ჩატარებულმა ექსპერიმენტმა ნათელყო, რომ რეფლექსიური სწავლების მხრივ ყველაზე ეფექტურ და პროდუქტიულ მოდელს წარმოადგენს ექსპერტული დაკვირვება და დაკვირვებათა აღნუსხვის შერეული მოდელი. დამტკიცებულ იქნა, რომ მხოლოდ დაკვირვებათა აღნუსხვის მეთოდი არ არის საკმარისი როგორც რეფლექსიური სწავლების საშუალება რიგი ნეგატიური

ფაქტორებიდან გამომდინარე: სუბიექტურობა, დროის ხარჯვა და ნაკლები გაუმჯობესებები მეთოდთა მოდიფიკაციაში. შესაბამისად, აღნიშნული შერეული მეთოდი შეიძლება განხილულ იქნას როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გამაუმჯობესებელი მეთოდი. ჩემს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა ექსპერიმენტულ ჯგუფში მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრება (დაბალი: 18-დან 27-მდე და საშუალო: 18-დან 29-მდე) კონტროლის ჯგუფში მყოფ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებასთან შედარებით (დაბალი: 18-დან 21-მდე და საშუალო: 17-დან 21-მდე). **ექსპერიმენტმა ნათელყო შერეული მეთოდის უპირატესობა**.

- კვლევამ და ექსპერიმენტმა გამოავლინა რეფლექსიური აზროვნების დონეების მნიშვნელობა ინგლისური ენის სწავლებისას ექსპერტული დაკვირვების, დაკვირვებათა აღნუსხვისა და ჯგუფური კოლაბორაციის მეთოდების იმპლემენტაციის ფარგლებში.

  მოცემული ცხრილი გვიჩვენებს შედეგებს:

| დონეები | **ექსპერტული დაკვირვება** | **დაკვირვებათა აღნუსხვა** | **ერთობლივი ჯგუფური სამუშაო** |
|---|---|---|---|
| **ტექნიკური** | + | + | + |
| **კონტექსტუალური** | + | | + |
| **დიალექტიკური** | | + | + |

ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ ტექნიკური დონე, რომელიც მიზნად ისახავს სწავლების მეთოდების კვლავ გადახედვას, შეფასებასა და ცვლილებებს, ხორციელდება ექსპერტული დაკვირვების, დაკვირვებათა აღნუსხვისა და ჯგუფური კოლაბორაციის მეთოდების მეშვეობით. კონტექსტუალური დონე, რომელიც მოიცავს ძირითად თეორიებსა და საკლასო გამოცდილებებთან დაკავშირებულ დისკუსიებსა და განმარტებებზე რეფლექსირებას, რაც ხორციელდება ექსპერტული დაკვირვებისა და

ჯგუფური კოლაბორაციის მეშვეობით. კვლევაც და ექსპერიმენტიც ნათელყოფს აღნიშნული სამი რეფლექსიური აზროვნების დონის წარმატებულად ინტეგრირებას ინგლისური ენის სწავლების პროცესში. იგი კიდევ ერთხელ ამტკიცებს ექსპერტული დაკვირვებისა და დაკვირვებათა აღნუსხვის მეთოდების შერევის აუცილებლობას რათა ეფექტურად განხორციელდეს რეფლექსიური აზროვნების ტექნიკური, კონტექსტუალური და დიალექტიკური დონეები. **ჯგუფური კოლაბორაცია მოიცავს სამივე დასახელებულ დონეს**.

**რეკომენდაციები**

- ჩემს მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტზე დაყრდნობით ჩემი რეკომენდაცია იქნება საქართველოში ინგლისური ენის სწავლების პროცესში ინსტრუქტორთა მიერ ექსპერტული დაკვირვებისა და დაკვირვებათა აღნუსხვის შერეული მეთოდის, როგორც რეფლექსიური სწავლების ოპტიმალური ფორმის ინტენსიურად გამოყენება. ქვეყანაში არსებული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა არ აძლევს მოქალაქეს იმის საშუალებას , რომ მან მოახდინოს ერთ კონკრეტულ საქმეზე კონცენტრაცია. ინგლისური ენის მასწავლებლეთა უმრავლესობა დამატებით კერძოდ ამზადებს მოსწავლეებს. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე ქართველი მასწავლებლებისთვის საჭიროა ისეთი რეფლექსიური სწავლების მეთოდები რომლებიც ნაკლებ დროის ხარჯვას ითვალისწინებს და მაქსიმალური სარგებელის მომტანია. ორი მეთოდის კომბინაცია იქნება სასარგებლო როგორც პროფესიული განვითარებისთვის, ასევე მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ასამაღლებლად.

- რადგანაც ჩაღლარის ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლა და სალაჰალდინის საერთაშორისო სკოლა აწყობენ რეგულარულ საკლასო შეხვედრებს, მაგრამ არ აწყობენ წინარე და შემდგომ კონფერენციებს, სასარგებლო იქნებოდა დაკვირვების ობიექტი მასწავლებლების

უზრუნველყოფა მათ მომავალ განვითარებასთან დაკავშირებული უკუკავშირებით. მასწავლებლები შეიძლება არ იყვნენ ენთუზიაზმით განწყობილნი რათა კრიტიკულად განიხილონ სწავლების პროცესი. ასეთი დამოკიდებულება შეიძლება გამოწვეულ იქნას თავდაჯერებულობის ნაკლებობითა და იმის შიშით რომ ადმინისტრაციის მიერ დაწუნებულნი იქნებიან. მასწავლებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათგან იდეალურობას არ მოითხოვენ. განვითარების სურვილი და ფართოჰორიზონტიანი აზროვნებაა საჭირო.

- სასურველია, რომ იმ სკოლებმა, რომლებიც არ ნერგავენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პრაქტიკას, გამოიყენონ აღნიშნული მოდგომა. შესაძლებელია რეგულარული გამოკითხვებისა და შეხვედრების ჩატარება რეფლექტიურ პროცესში მასწავლებელთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.
- ინგლისური ენის ინსტრუქტორთათვის სასურველია ტრენინგებზე და სემინარებზე დასწრება რათა ფეხი აუბან 21-ე საუკუნის მოთხოვნებს. კარგი იქნბოდა თუ საქართველოში მდებარე თურქული საერთაშორისო სკოლის ადმინისტრაცია საზღვარგარეთ გრძელვადიან მოსამზადებელ კურსების ორგანიზებას მოახდენდა, სადაც ენის მასწავლებლები ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტს დამყარებდნენ. ეს პრაქტიკა არა მარტო პროფესიულ განვითარებას შეუწყობდა ხელს, არამედ ენობრივ უნარებსაც განავითარებდა. აგრეთვე, როგორც ნაშრომის მე-2 თავში მოგახსენეთ, ამერიკასა და ევრუპაში რეფლექსიური სწავლება უფრო მეტად არის გამოყენებული პრაქტიკაში და კარგი იქნებოდა თუ გავიზიარებდით მათ გამოცდილებას.

გამოქვეყნებულ სტატიათა ჩამონათვალი, რომელშიც ასახულია დისერტაციის ძირითადი დებულებები:

Sharashendize, T. (2013).Reflection and teachers' attitudes towards peer observation. *IBSU Journal of Education.* IBSU, Tbilisi, Georgia. Vol 2 (Issue 1), p. 47-49.

Sharashenidze-Soyucok, T. (2014). Gender role in reflective teaching methods in Muslim countries. *Conference proceedings* from *"The 4th International Research Conference on Education, English Language Teaching, English Language and Literatures in English.*" IBSU, Tbilisi, Georgia. p. 303-313

Sharashenidze-Soyucok, T. (2015). Reflective Teaching Training Programs for English Language Intern/Student Teachers: Dream or Reality. *Conference proceedings* from *"The 5th International Research Conference on Education, English Language Teaching, English Language and Literatures in English.*" IBSU, Tbilisi, Georgia, p. 390-396